08.07.2019/20

DANISH REFUGEE COUNCIL
South Caucasus
Chavchavadze avenue N37D, 0179
Tbilisi, Georgia

E-mail: drc@drc-sc.org
http://www.drc.ngo/

H.E. Ekaterine Tikaradze

Minister of Internally Displaced Persons from Occupied Territories,

Labour, Health and Social Affairs of Georgia

RE: Study visit on IDP response for Government Representatives to the Republic of Azerbaijan

Honorable Minister,

On behalf of Danish Refugee Council (DRC), I would like to express my appreciation towards the Ministry for an active engagement in partnership with our organization during the recent months. We therefore would reiterate our commitment to maintain close collaboration and coordination with the Ministry for smooth and successful implementation of different projects that DRC currently implements for supporting IDPs throughout Georgia.

We would kindly inform you that as of December 2018, DRC implements 18-month project "Developing the capacities of state stakeholders in Georgia to effectively address the vulnerable population's economic and social needs" within the framework of programme EPIC – Economic and Social Participation of vulnerable displaced and local population in the South Caucasus through the support of GIZ on behalf of Government of Georgia and Government of Federal Republic of Germany.

The Project is designed for provision of technical assistance to your Ministry to strengthen its capacities to contribute to needs-based and improved service delivery to vulnerable populations, IDPs in the first place.

In the framework of the project, regional exchange is envisaged on IDP response with Armenia and Azerbaijan as well as one EU member state. Currently, DRC is intending to organize 3-day Study Visit to Azerbaijan for 5 representatives of your Ministry for experience sharing between Georgian and Azeri counterparts on IDP response, in particular, the participants will be familiarized with the housing, livelihoods and community support programmes for IDPs implemented by Social Fund for Development of IDPs (SFDI), gender mainstreaming issues and the relevant legislation of Government of Azerbaijan. The detailed Concept Note of the Study visit is provided in Annex 1.

Herewith, we would like to highlight that all costs related to travel, accommodation and meals will be fully covered by the Project.

We would like to kindly ask you to identify 4 representatives from the IDP and Eco-migrant Policy Department and 1 representative from the LEPL Livelihoods Agency.

The tentative Itinerary for the Study visit is provided in Annex 2.

DANISH REFUGEE COUNCIL

We would highly appreciate your support to the proposed visit.

Annex: 5 pages

Yours Sincerely,

Vincent Dontot

Country Director

DRC Georgia

08.07.2019/20

DANISH REFUGEE COUNCIL
South Caucasus
Chavchavadze avenue N37D, 0179
Tbilisi, Georgia
E-mail: drc@drc-sc.org
http://www.drc.ngo/

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტრო

იძულებით გადაადგილების საკითხებზე საინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

პატივცემულო მინისტრო,

ლტოლვილთა დანიის საბჭოს სახელით, გვსურს ჩვენი ღრმა პატივისცემა გამოვხატოთ სამინისტროს მიმართ გასულ პერიოდში აქტიური თანამშრომლობისათვის. გვსურს ასევე დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია მჭიდრო თანამშრომლობის და კოორდინაციის შესახებ იმ სხვადასხვა პროექტების წარმატებულად წარმართვის პროცესში, რაასაც ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC) ამჟამად ახორციელებს დევნილების მხარდასაჭერად საქართველოში.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2018 წლის დეკემბრიდან DRC ახორციელებს პროექტს „სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების ზრდა მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით", პროგრამის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების სახელით.

პროექტის მიზანია სამინისტროს შესაძლებლობების ზრდა მოწყვლადი ჯგუფების და პირველ რიგში დევნილების საჭიროებებზე მორგებული და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია რეგიონალური გამოცდილების გაზიარება იძულებით გადაადგილების თემაზე საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ასევე ევროკავშირის წევრ ერთ ქვეყანასთან. ამჟამად DRC გეგმავს 3-დღიანი სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას სამინისტროს 5 წარმომადგენლის მონაწილეობით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების თვალსაზრისით ქართველ და აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად. კერძოდ, მონაწილეები გაეცნობიან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებლით, საარსებო წყაროებით უზრუნველყოფისა და თემის მხარდაჭერის პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების სოციალური ფონდის (SFDI) მიერ. მონაწილეები ასევე გაეცნობიან გენდერული

DANISH REFUGEE COUNCIL

მეინსტრიმინგის საკითხებს და შესაბამის კანონმდებლობას აზერბაიჯანში. სასწავლო ვიზიტის დეტალური კონცეფცია მოცემულია დანართის სახით.

გაცნობებთ, რომ სასწავლო ვიზიტის ყველა ხარჯი, მათ შორის მგზავრობის, სასტუმროში განთავსებისა და კვების, სრულად იქნება დაფარული პროექტის ბიუჯეტიდან.

მოგმართავთ თხოვნით, რომ მოგვაწოდოთ დევნილთა და ეკო-მიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტისა (4 წარმომადგეგენელი) და სსიპ საარსებო წყაროების სააგენტოს (1 წარმომადგენელი) თანამშრომელთა სია, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ზემოთაღნიშნულ სასწავლო ვიზიტში.

სასწავლო ვიზიტის დღის წესრიგის სამუშაო ვერსია მოცემულია დანართის სახით.

დიდ მადლობას მოგახსენებთ აღნიშნული ვიზიტის მხარდაჭერის გამო.

დანართი: 5 ფურცელი

პატივისცემით,

ვინსენტ დონტო

ლტოლვილთა დანიის საბჭოს

საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი

კონცეფცია

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში - იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების შესახებ გამოცდილების გაზიარება

22-24 ივლისი, 2019 (TBC)

1. ზოგადი ინფორმაცია

2018 წლის დეკემბრიდან, ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC) ახორციელებს პროექტს *„სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების ზრდა მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით“*, პროგრამის *„მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“* ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების სახელით.

პროექტი ეფუძნება 1999 წლიდან დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის სფეროში ლტოლვილთა დანიის საბჭოს მრავალმხრივ გამოცდილებას და ყოფილ დევნილთა სამინისტროსა და საარსებო წყაროების სააგენტოსთან მისი ხანგრძლივი თანამშრომლობის ისტორიას. წლების განმავლობაში ლტოლვილთა დანიის საბჭო წარმოადგენდა სამინისტროს სტრატეგიულ პარტნიორს და უწევდა მას ტექნიკურ დახმარებას სხვადასხვა საკითხებში.

2018 წლის ივნისში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების შედეგად, დევნილთა სამინისტრო როგორც დამოუკიდებელი უწყება გაუქმდა. 2018 წლის 5 ივლისს პარლამენტმა დაამტკიცა სამინისტროს სამართალმემკიდრე - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“, რომელსაც გადაეცა ყოფილი დევნილთა სამინისტროს ყველა პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

პროექტის მიზანია სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების ზრდა მოწყვლადი ჯგუფების და პირველ რიგში დევნილების საჭიროებებზე მორგებული და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით.

პროექტის მოსალოდნელი **შედეგები:**

1. სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობები მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, დევნილების, ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად გაუმჯობესებულია.
2. დევნილთა, ლტოლვილთა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშესაწყობად, პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია ოთხი დოკუმენტი, მათ შორის ერთი გენდერის საკითხებზე. აღნიშნული გაზიარებულია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ასევე, ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის შესაბამისი უწყებისათვის ან/და წარდგენილია რეგიონალური გაცვლის ფორუმებზე.

მეორე შედეგის მისაღწევად, DRC გეგმავს განახორციელოს *სამდღიანი სასწავლი ვიზიტი* აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, *საქართველოს მთავრობის 5 წარმომადგენლის მონაწილოებით*, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების თვალსაზრისით გამოცდილების გასაზიარებლად.

ორივე ქვეყნის გამოცდილების გაზიარებამდე, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა და განხორციელებული პროგრამების იდენტიფიცირების მიზნით, DRC-მ შეიმუშავა დაინტერესებული მხარეების მოკვლევის დოკუმენტი, რაც შესაძლოა სასარგებლო იყოს სასწავლო ტურის მონაწილეებისათვის. აღნიშნული დოკუმენტი განიხილა GIZ-ის წარმომადგენლობამ აზერბაიჯანში.

2. სასწავლო ტურის მიზნები და შემოთავაზებული საკითხები

სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პროგლემებზე რეაგირების კუთხით ქართველ და აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებას. კერძოდ, მონაწილეები გაეცნობიან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებლით, საარსებო წყაროებით უზრუნველყოფისა და თემის მხარდაჭერის პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების სოციალური ფონდის (SFDI) მიერ. მონაწილეები ასევე გაეცნობიან გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებს და შესაბამის კანონმდებლობას აზერბაიჯანში.

სასწავლო ტური დაფარავს შემდეგ თემებს (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის/განსახლების პოლიტიკა და პროგრამები
- გრძელვადიანი საცხოვრისის მენეჯმენტი
- ადგილობრივი ხელისუფლების როლი იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეგირების პროცესში და ურთიერთქმედება ცენტრალურ ხელისუფლებასთან

- საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის/ეკონომიკური და სათემო მხარდაჭერის პროგრამები იძულებით გადაადგილებული პირებისთვის
- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამები/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე ხელმისაწვდომობა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის
- სპეციალური საგანმანათლებლო (მათ შორის პროფესიული გადამზადების) პროგრამები იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში

სასწავლო ვიზიტი ითვალისწინებს ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების ორგანიზებას იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებთან; სამუშაო შეხვედრას ქართველ და აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების შესახებ გამოცდილების გასაზიარებლად; საველე ვიზიტებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში ან / და პროგრამის ბენეფიციარებთან.

სასწავლო ვიზიტის შემდგომ, DRC მიზნად ისახავს, სამთავრობო უწყებებთან განიხილოს და შეთანხმდეს პრიორიტეტულ სფეროებზე, შეიმუშაოს შესაბამისი მისიის ანგარიშები, რომლებიც წარმოაჩენს მიღწეულ შედეგებს და შეაჯამებს მონაწილეთა უკუკავშირს. გაცვლითი სასწავლო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდება სასწავლო დოკუმენტი, რომელიც ასახავს საუკეთესო პრაქტიკას იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების თვალსაზრისით. აღნიშნული დოკუმენტის პრეზენტაცია სამიზნე სამთავრობო უწყებებისთვის განხორციელდება 2020 წელს პროექტის დასკვნით კონფერენციაზე.

3. შემოთავაზებული მონაწილეები

სასწავლო ვიზიტი დაიგეგმება და განხორციელდება DRC საქართველოს და GIZ აზერბაიჯანის წარმომადგენლობების მიერ ერთობლივად. მონაწილეები საქართველოდან წარმოადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა და ეკო-მიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტს, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (1 წარმომადგენელი) და DRC-ს (1 წარმომადგენელი).

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებში/სემინარებში მონაწილეობის მისაღებად, აზერბაიჯანში შემდეგი დაინტერესებული მხარეები გამოვლინდნენ:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების სოციალური ფონდი (SFDI)
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმწიფო საბჭო
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- აზერბაიჯანის ხალხთა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- პროფესიული განათლების სახელმწიფო სააგენტო

- იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების სოციალური ფონდის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები
- ადგილობრივი ხელისუფლება
- საერთაშორისო ორგანიზაციები: World Bank, UNHCR, GIZ, IOM, UAFA და სხვა

ქართველი მონაწილეები, აზერბაიჯანელ კოლეგებს წარუდგენენ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების 28 წლიან გამოცდილებას.

DRC-ს არ აქვს წარმომადგენლობა აზერბაიჯანში. შესაბამისად, ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდება GIZ-ის ოფისთან მჭიდრო კოორდინაციითა და მხარდაჭერით.

Project 'Developing the capacities of state stakeholders in Georgia to effectively address the vulnerable population's economic and socil needs'

Itinerary for the Exchange Visit on IDP response to the Republic of Azerbaijan

22-24 July, 2019 (TBC)

Time	Activity	Venue	Participants
22 July			
11:50	Departure from Tbilisi to Baku		MoILHSA, LEPL Livelihoods Agency, DRC
13:00	Arrival to Baku Heydar Aliyev International Airport		
13:00 -13:30	Transfer from the airport to the Hotel	Hotel Venue TBA	
14:00	Lunch	TBA	
14:30 – 16:30	Meeting with the Social Fund for Development of IDPs (SFDI)		SFDI, MoILHSA, LEPL, DRC, GIZ
19:00	Dinner		
23 July			
10:00 – 12:00	Meeting with the representatives of State Committee for Affairs of Refugees and IDPs of Azerbaijan		MoILHSA, LEPL, DRC, GIZ
12:30	Lunch	TBA	
14:00 – 16:00	Field visits to IDP settlements and programme beneficiaries		Ministry of Economy, Ministry of Agriculture, Ministry of Education, Ministry of Labour and Social Protection, MoILHSA, LEPL, DRC, GIZ
16:00 – 18:00	Meeting with the line Ministries		
19:00	Official Dinner and Sightseeing		SFDI, MoILHSA, LEPL, DRC, GIZ
24 July			
10:00 – 13:00	Workshop on IDP response with line Ministries, SFDI partner NGOs, international organizations Presentation of Georgian Experience, Q&A	Hotel Venue TBA	MoILHSA, LEPL, DRC, GIZ
13:30	Lunch	TBA	
14:30 – 15:30	De briefing meeting with DRC and GIZ		
16:00 -18:00	Transfer to Airport and Departure from Baku to Tbilisi		